



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

2011 წელი 14 აპრილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №48

გიორგი ტაკიძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39¹-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი – გიორგი ტაკიძე, ქალაქ თბილისში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეგიდითა და „ექსპრო-ჯორჯია“-ს ინიციატივით მოწვობილ ხალხური რეწვის ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენაზე 2011 წლის 15 აპრილიდან 2011 წლის 16 აპრილის ჩათვლით;
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს - გიორგი ტაკიძეს, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი